ჭეშმარიტად, ადამის შვილების გულები მოწყალის (არ-რაჰმანის) თითებიდან ორ თითს შორის არის, როგორც ერთი გული, და ის მათ აბრუნებს, როგორც ინებებს

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრ იბნ ალ'აასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): გავიგონე ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ჭეშმარიტად, ადამის შვილების გულები მოწყალის (არ-რაჰმანის) თითებიდან ორ თითს შორის არის, როგორც ერთი გული, და ის მათ აბრუნებს, როგორც ინებებს». შემდეგ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ო, ალლაჰ, გულთა შემბრუნებელო, მოაბრუნე ჩვენი გულები შენს მორჩილებაზე!»

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გავმცნო, რომ ჭეშმარიტად ყველა ადამიანის გული, მოწყალის თეთებიდან ორ თითს შორის არის, როგორც ერთი გული, და ის მათ მოაქცევს საითაც ის ინებეს; თუ ინებეს დაადგენს მათ ჭეშმარიტებაზე, და თუ ინებებს ააცდენს მათ ჭეშმარიტებას, მისი გავლენა ყველა გულზე ისეთივეა, როგორც ერთზე. უზენაესი ალლაჰისთვის ერთი მდგომარეობა მეორე მდგომარეობიდან შემაბრკოლებელი არ არის, შემდეგ გააკეთა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვედრება და თქვა: ღმერთო, გულთა შემბრუნებელო, ზოგჯერ მორჩილებაში მოგყავს ისინი, ზოგჯერ კი ცოდვებზე მოაქცევ მათ, ზოგჯერ შენს ხსენებაზე, ზოგჯერ კი უგულისყურობაში ტოვებ მათ, მაშ მოაქციე ჩვენი გულები შენს მორჩილებაში.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/6331